





სარჩევი



CONTENT



29	About the Project
32	Assessment of Municipal Transparency and Citizen Participation
	About the assessment tool
33	Assessment and support of target municipalities
39	Strengthening of regional organizations / advocacy campaigns
43	Advocation of the development of effective mechanisms for citizen participation in the government's regional development programs
46	Development of quality management system introduction model in municipality according to ISO 9001:2015 International Standard
47	The major achievements

პროექტის შესახებ



2015 წელს, CTC- ს გუნდმა, თვითმმართველობის ახალ კოდექსზე, პარტნიორობა ღია მმართველობისთვის ინიციატივით (OGP) დადგენილ სტანდარტებზე და ზოგადად, კარგი მმართველობის (Good Governance) პრინციპებზე დაფუძნებით დაიწყო პროექტი „ადგილობრივი დემოკრატიის განვითარება“. პროექტის მიზანია მუნიციპალიტეტებში ანგარიშვალდებულების, გამჭვირვალობისა და საზოგადოების ჩართულობის გაზრდის ხელშეწყობა.

პროექტი ეფუძნება 4 ძირითად მიდგომას:

- მუნიციპალური გამჭვირვალობისა და მოქალაქეთა ჩართულობის შეფასების ინსტრუმენტის შექმნა/დანერგვა და საქართველოში მუნიციპალიტეტების შესაძლებლობების განვითარების მხარდაჭერა;
- ადგილობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჩართვა შეფასების პრაქტიკის დანერგვაში და ადვოკატირება მოქალაქეთა მონაწილეობის მექანიზმების და პრაქტიკების განვითარების მიზნით;
- მუნიციპალიტეტში ხარისხის მართვის სისტემის დანერგვის მოდელის შემუშავება ISO 9001:2015 საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით;
- რეგიონული განვითარების სახელმწიფო პროგრამებში მოქალაქეთა მონაწილეობის ეფექტური მექანიზმების განვითარების ადვოკატირება.

პროექტის განხორციელებისათვის შერჩეული იქნა 8 თვითმმართველი ერთეული. აქედან 3 თვითმმართველი ქალაქი: რუსთავი, გორი, თელავი და 5 სათემო მუნიციპალიტეტი: ლაგოდეხი, სიღნაღი, ყაზბეგი, მარნეული და გარდაბანი. შერჩევის კრიტერიუმებად აღებული იქნა მუნიციპალიტეტების განსხვავებული ზომა (ფართობი, მოსახლეობა), ტიპი (საქალაქო, სათემო), გეოგრაფია (მთა, ბარი) და მზაობა პროექტში მონაწილეობაზე.

მუნიციპალური
გამჭვირვალობისა და
მოქალაქეთა ჩართულობის
შეფასება



შეფასების ინსტრუმენტის შესახებ

პროექტის საწყის ეტაპზე შემუშავდა მუნიციპალური გამჭირვალობისა და მოქალაქეთა ჩართულობის შეფასების ინსტრუმენტი, რომელიც ეფუძნება და აერთიანებს საქართველოს კანონმდებლობით, საერთაშორისო და ადგილობრივი კარგი პრაქტიკით, პარტნიორობა ღია მმართველობისთვის ინიციატივით დადგენილ საჯარო დაწესებულებათა გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების სტანდარტებს.

ინსტრუმენტის რამდენიმე ეტაპიანი კვლევის საფუძველზე შემუშავდა. გაანალიზდა საქართველოს კანონმდებლობით (საქართველოს კონსტიტუცია, ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი და სხვა) და საერთაშორისო ვალდებულებებით (ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტია, პარტნიორობა ღია მმართველობისთვის ინიციატივა და სხვა) დადგენილი გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მოთხოვნები და ასევე, მუნიციპალური აქტები. შესწავლილი იქნა საზღვარგარეთის პრაქტიკა, მათ შორის, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ანალოგიური მიზნებისთვის შემუშავებული ინსტრუმენტები და საქართველოს გამოცდილება (ძირითადად ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების გამოცდილება); გაანალიზდა საქართველოს მუნიციპალური კომპეტენციები და მენეჯმენტის არსებული პროცედურები.

მუნიციპალური გამჭირვალობისა და მოქალაქეთა ჩართულობის შეფასების ინსტრუმენტი სტანდარტის სახით ჩამოყალიბდა. იგი 3 ნაწილისგან შედგება და სულ 62 კრიტერიუმს აერთიანებს. თითოეული კრიტერიუმი ფასდება შესაბამისი ინდიკატორების მიხედვით 0-3 ქულიან სკალაზე. ინსტრუმენტი, ასევე, მოიცავს ყველა კონკრეტულ ინდიკატორზე ინფორმაციის მოძიების, დამუშავების და შეფასების (ქულის მინიჭების) მეთოდოლოგიას. სტანდარტის სტრუქტურა შემდეგნაირია:

ნაწილი 1

საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება (37 ინდიკატორი)

ამ ბლოკში შემავალი კრიტერიუმებით ფასდება მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საჯარო ინფორმაციის მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე გამოქვეყნების სისრულე და დროულობა.

ნაწილი 2.

მოქალაქეთა ჩართულობა (12 ინდიკატორი)

ამ ბლოკში შემავალი კრიტერიუმებით ფასდება ადგილობრივი

გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოსახლეობის ჩართულობის და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის ანგარიშვალდებულების ხარისხი.

ნაწილი 3.

მუნიციპალიტეტი on-line სივრცეში (13 ინდიკატორი)

ამ ბლოკში შემავალი კრიტერიუმებით ფასდება ვებგვერდის სტრუქტურა, მისი მოხმარების შესაძლებლობები და ხელმისაწვდომობა.

სამიზნე მუნიციპალიტეტების შეფასება და მხარდაჭერა

მუნიციპალური გამჭვირვალობისა და მოქალაქეთა ჩართულობის შეფასების სტანდარტით, სამიზნე მუნიციპალიტეტების პირველადი შეფასება CTC-მ 2015 წლის პირველ ნახევარში განახორციელა.

პირველადი შეფასების შედეგად გამჭვირვალობისა და მოქალაქეთა ჩართულობის ყველაზე მაღალი შედეგი (1.24) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტმა, ხოლო ყველაზე დაბალი - ყაზბეგის მუნიციპალიტეტმა (0.18) აჩვენა. ეს უკანასკნელი, ძირითადად, შეფასების პერიოდში ვებგვერდის არარსებობით იყო განპირობებული. ზოგადად, თვითმმართველ ქალაქებში გამჭვირვალობისა და მოქალაქეთა ჩართულობის შედეგებით მაღალი შედეგები დაფიქსირდა (საშუალო მაჩვენებელი 1.01), ვიდრე თვითმმართველ თემებში (საშუალო მაჩვენებელი 0.47).

პირველადი შეფასების შედეგები


	1. საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება	1.1 მთავარი ინფორმაცია მუნი-ციპალიტეტის შესახებ	1.2 მუნიციპალური შესყიდვებისა და მუნიციპალური ქონების შესახებ ინფორმაცია	1.3 სადინასო-საბიუჯეტო ინფორმაცია	1.4 ინფორმაცია მუნიციპალური სერვისების შესახებ	1.5 პროაქტიულად გამოსაქმნედი სხვა საჯარო ინფორმაცია	2. მოქალაქეთა ჩართულობა	3. მუნიციპალიტეტი on-line სივრცეში	საერთო შეფასება
გარდაბანი	0.22	0.43	0.00	0.44	0.00	0.11	0.42	1.23	0.47
ლაგოდეხი	0.57	1.57	0.00	0.33	0.83	0.22	0.83	0.92	0.69
მარნეული	0.14	0.43	0.00	0.22	0.00	0.00	1.00	1.46	0.58
სიღნაღი	0.16	0.71	0.00	0.00	0.00	0.11	0.50	1.23	
ყაზბეგი	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.50	0.38	0.18
ქალაქი გორი	0.39	1.43	0.00	0.38	0.00	0.11	1.42	1.77	0.89
ქალაქი თელავი	0.72	1.71	1.00	0.75	0.33	0.00	0.92	1.38	0.90
ქალაქი რუსთავი	0.89	2.57	0.33	0.88	1.00	0.00	1.42	2.08	1.24

შეფასების შედეგების ანალიზმა, ასევე, ცხადყო შემდეგი:

- იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც აქტიურია ადგილობრივი არასამთავრობო სექტორი (რუსთავი, გორი) მაღალია გამჭვირვალობის ხარისხიც;
- პრაქტიკულად ყველა საპილოტე მუნიციპალიტეტში, დაბალი შედეგი დაფიქსირდა საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების ნაწილში. ეს, ერთი მხრივ, აიხსნება ამ მიმართულებით სავალდებულო საკანონმდებლო ნორმების დაწესების სიახლით (თვითმმართველობის კოდექსში პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი სავალდებულო ინფორმაციის ჩამონათვალი 2015 წელს გაჩნდა) და მეორე მხრივ, იმ გარემოებით, რომ CTC-ის მიერ შემუშავებული სტანდარტი უფრო მაღალია (პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის უფრო ვრცელ ჩამონათვალს ადგენს) ვიდრე მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები;
- ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების ბლოკში ყველაზე მაღალი მაჩვენებლები აქვს მუნიციპალიტეტის შესახებ ზოგადი ინფორმაციის ამსახველ კრიტერიუმებს, ხოლო ყველაზე დაბალი - მუნიციპალური შესყიდვებისა და მუნიციპალური ქონების შესახებ ინფორმაციის ამსახველ კრიტერიუმებს. ამ უკანასკნელ ქვებლოკში, თვითმმართველი ქალაქების თელავისა და რუსთავის გარდა, საპილოტე მუნიციპალიტეტების შეფასება ნულის ტოლია. ანალოგიურად დაბალი მაჩვენებლებია ქვებლოკებში - ინფორმაცია მუნიციპალური სერვისების შესახებ და პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი სხვა საჯარო ინფორმაცია, სადაც უმეტეს შემთხვევაში მხოლოდ 1 ან 2 კრიტერიუმის დაკმაყოფილების ხარჯზე იქნა მიღწეული ნულზე მაღალი ქულა;
- იშვიათი გამონაკლისის გარდა, მუნიციპალიტეტებში არ არის გამოყოფილი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი;
- საკრებულოს სხდომების შესახებ მოსახლეობის წინასწარი ინფორმირება, როგორც წესი, ვადის დაცვით, რამდენიმე საკომუნიკაციო არხის გამოყენებით ხდება. თუმცა, იმავეს ვერ ვიტყვით საკრებულოს კომისიის სხდომებზე, რომელთა შესახებ ინფორმაცია თითქმის არ ვრცელდება;
- საკრებულოს სხდომებს მოსახლეობა, როგორც წესი, არ ესწრება. ამ მხრივ შედარებით აქტიურნი არიან საზოგადოებრივი და მედია ორგანიზაციების წარმომადგენლები;
- რამდენიმე გამონაკლისის გარდა, პრაქტიკულად არ არსებობს მერის/ გამგებლის, საკრებულოს თავმჯდომარის, საკრებულოს წევრების, მუნიციპალური სამსახურების ხელმძღვანელების მიერ ანგარიშის საჯაროდ წარდგენის პრაქტიკა;

- არ ხდება მოსახლეობის ჩართვა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფორმირების ან სხვა პრობლემური საკითხების გამოვლენა-გადაჭრის პროცესში, თუ არ ჩავთვლით სოფლის დახმარების სახელმწიფო პროგრამას, სადაც, პრიორიტეტების დასადგენად სავალდებულოა სოფლის კრების მოწვევა;
- საპილოტე მუნიციპალიტეტების ვებგვერდების სტრუქტურისა და სტილის შეფასებამ ცხადყო, რომ ისინი უფრო მეტად ორიენტირებულია ცალმხრივ კომუნიკაციასა და პიარზე და ნაკლებად ასრულებს მოსახლეობისთვის ან ბიზნესისთვის საჯარო სერვისების პლატფორმის ფუნქციას;

პირველადი შეფასების გრაფიკულად გამოსახული შედეგები



რვავე სამიზნე მუნიციპალიტეტის მარცხენა ქვედა კუთხეში განლაგება შეფასების შედეგების დაბალ მაჩვენებელზე მიუთითებს. საუკეთესო შემთხვევაში მუნიციპალიტეტები განთავსდებოდა ზედა მარჯვენა (მწვანედ შეფერილ) ნაწილში. გრაფიკიდან ჩანს, რომ შედარებით უკეთესი, თუმცა, სასურველიდან საკმაოდ დაშორებული, მდგომარეობაა მოქალაქეთა ჩართულობის კუთხით.

პირველადი შეფასების შედეგებზე დაყრდნობით, პროექტის ექსპერტთა ჯგუფის მიერ, სამიზნე მუნიციპალიტეტებისთვის შემუშავდა ინდივიდუალური ანგარიშები შესაბამისი რეკომენდაციებით. განზოგადებული სახით გამოვყოფდით შემდეგ რეკომენდაციებს:

- შედეგების სწრაფი გაუმჯობესება ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით, რაც გულისხმობს პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის სრულ და დროულ განთავსებას ვებგვერდზე, რაც არ მოითხოვს მნიშვნელოვანი ხარჯების გაღებას. ამასთან, ეს ინფორმაცია მუნიციპალიტეტს ისედაც გააჩნია;
- საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხიმგებელი პირის დანიშვნა. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნისა და გაცემის მარეგულირებელი მუნიციპალური აქტების, ინსტრუქციების, პროცესებისა და პროცედურების შემუშავება;
- გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოსახლეობის ჩართულობის ხელშეწყობის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება, რომლის ნაწილიც იქნება ვებგვერდის, როგორც მოსახლეობასთან კომუნიკაციისა და მუნიციპალური მომსახურების მიწოდების ინსტრუმენტის განვითარების ხედვა;
- მოსახლეობის ჩართულობის წამახალისებელი ფორმების და შესაბამისი პროცედურების დადგენა. აგრეთვე, პეტიციებზე, წერილობით წინადადებებზე და სხვა ასეთი ტიპის აქტივობებზე რეაგირების ვადების დადგენა;
- გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის დაფინანსების მიზნით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შესაბამისი სახსრების გათვალისწინება;
- ინფორმაციის საჯარო გავრცელებასთან დაკავშირებული ფორმალური წესების შემუშავება (რა შინაარსით, რა სახით, რა მოცულობით, რა საკომუნიკაციო არხებით);
- მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირების და საკრებულოს წევრების მოსახლეობასთან უშუალო კომუნიკაციის წახალისება. დაგეგმილი და შესრულებული სამუშაოების შესახებ მოსახლეობის ინფორმირება დასახლების კრების, საჯარო შეხვედრის, ტელევიზიის, რადიოს, სხვა საინფორმაციო საშუალებების გამოყენებით;
- მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირების მიერ ანგარიშების საჯაროდ წარდგენის პრაქტიკის დამკვიდრება წელიწადში ერთხელ მაინც, შესაბამისი მასალების ვებგვერდზე განთავსებით;

- მუნიციპალური ვებგვერდების მომხმარებლისთვის გასაგები სტრუქტურის შექმნა, ადაპტირება ტელეფონიდან და პლანშეტიდან მოხმარებისთვის, არსებული ინფორმაციის ოპტიმიზაცია. თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მომხმარებელთან კომუნიკაციის სხვადასხვა ინსტრუმენტების (facebook, youtube, ელექტრონული ფორმები, უკუკავშირების და ხმის მიცემის სისტემები და სხვა) გამოყენება;

სამიზნე მუნიციპალიტეტებისათვის შეფასების მიგნებებისა და რეკომენდაციების გაზიარების შემდეგ, პროექტის ფარგლებში, მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებისათვის ჩატარდა რამდენიმე გადამზადების პროგრამა, გამოცდილების გაზიარების შეხვედრა და ინდივიდუალური კონსულტაციები.

განმეორებითი შეფასება 2016 წლის გაზაფხულზე განხორციელდა, შესაბამის რეგიონებში შერჩეული და მომზადებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ. რეკომენდაციების, კონსულტირებისა თუ რიგ შემთხვევაში ადვოკატირების წარმატებული კამპანიის შედეგად, სამიზნე მუნიციპალიტეტების გამჭვირვალობისა და მოქალაქეთა ჩართულობის საერთო/შენიშნული მაჩვენებელი 0.49 ერთეულით ანუ 73%-ით გაუმჯობესდა (0.68-დან 1.17 ქულამდე გაიზარდა).

სამიზნე მუნიციპალიტეტებში ჩატარებული პირველადი და საბოლოო შეფასების შედეგები

	საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება		მოქალაქეთა ჩართულობა		მუნიციპალიტეტი on-line სივრცეში		საერთო შეფასება	
	I	II	I	II	I	II	I	II
შეფასების ეტაპები								
გარდაბანი	0.22	1.19	0.42	0.75	1.23	1.69	0.47	1.5
ლაგოდეხი	0.57	0.51	0.83	1.33	0.92	1.38	0.69	0.85
მარნეული	0.14	1.38	1	0.75	1.46	1.54	0.58	1.55
სიღნაღი	0.16	0.19	0.5	1.25	1.23	1.46	0.45	0.66
ყაზბეგი	0	0	0.5	1.17	0.38	0.38	0.18	0.31
ქალაქი გორი	0.39	1.19	1.42	2.25	1.77	1.85	0.89	1.54
ქალაქი თელავი	0.72	0.61	0.92	1.33	1.38	1.46	0.9	0.93
ქალაქი რუსთავი	0.89	1.73	1.42	2.25	2.08	2.54	1.24	2

განსაკუთრებული პროგრესი გარდაბნის, მარნეულის, გორის და რუსთავის მუნიციპალიტეტებში მოქალაქეთა ჩართულობის და ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების მაჩვენებლების ზრდის ხარჯზე იქნა მიღწეული.

“მინდა აღვნიშნო, რომ ტრენინგი სახელწოდებით „საზოგადოების მონაწილეობის სტრატეგიები ადგილობრივ თვითმმართველობაში“, რომელშიც მეონდა პატივი მიმელო მონაწილეობა, ძალიან საინტერესო და ამავდროულად, მნიშვნელოვანი იყო. მიღებულმა ცოდნამ შესაძლებლობა მომცა პრაქტიკაში დამენერგა ის მექანიზმები, რაც მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის საქმიანობის გამჭვირვალობის ხარისხს მნიშვნელოვნად გააუმჯობესებდა და ხელს შეუწყობდა მოქალაქეთა ჩართულობას. ახალი ვებგვერდის – www.rustavi.gov.ge კონცეფციაზე მუშაობისას ვიხელმძღვანელებ სწორედ ტრენინგში მონაწილეობისას მიღებული ინფორმაციით და შეძლებისდაგვარად გათვალისწინე მონოდებელი რეკომენდაციები.”

ნესტან არჩვაძე, რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ „ინფორმაციის დამუშავების და ანალიზის ცენტრის“ დირექტორი

ყაზბეგის მუნიციპალიტეტისთვის კვლავ პრობლემური იყო ვებგვერდის არარსებობა, რაც მისი გამჭვირვალობის მაჩვენებელზე უარყოფითად აისახა. თუმცა, CTC-ის დახმარებით, მუნიციპალიტეტმა დაიწყო ვებგვერდის კეთება. შესაბამისად, უკვე 2017 წელს მას ექნება შესაძლებლობა პროაქტიულად გამოაქვეყნოს საჯარო ინფორმაცია და დაწინაურდეს კიდევ ამ კუთხით.

მუნიციპალური გამჭვირვალობისა და მოქალაქეთა ჩართულობის სტანდარტით დადგენილი მოთხოვნების შესრულების მიზნით, მნიშვნელოვანი განაცხადი გააკეთეს ლაგოდებისა და სიღნაღის მუნიციპალიტეტებმა. მათ საკუთარ სამართლებრივ აქტებში ასახეს სტანდარტით გათვალისწინებული მთელი რიგი მოთხოვნები, რაც, ბუნებრივია, დაეხმარებათ სამომავლოდ უკეთესი შედეგების მისაღწევად.

რეგიონული ორგანიზაციების
გაძლიერება / აღვოკატირების
კამპანიები



საპილოტე მუნიციპალიტეტებში მუნიციპალური გამჭირვალობისა და მოქალაქეთა ჩართულობის შეფასების სტანდარტის დანერგვის მიზნით, შეირჩა 7 რეგიონული საზოგადოებრივი ორგანიზაცია. ესენია: ასოციაცია „ბილივი“, „მარნეულის ქალთა ორგანიზაცია“, „მმართველობითი სისტემების განვითარების ცენტრი“, „ნუკრიანი“, „რეგიონის განვითარების ცენტრი“, „სიდა“ და „სტეფანწმინდა“.

პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა გაიარეს გადამზადების სპეციალური პროგრამა შეფასების ინსტრუმენტის გამოყენების საკითხებზე და ჩართულები იყვნენ გამოცდილების გაზიარების შეხვედრებში. მათი ამოცანა იყო საპილოტე მუნიციპალიტეტების განმეორებითი (საბოლოო) შეფასება დადგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად და მიღებული შედეგების გათვალისწინებით, ადვოკატირების კამპანიის განხორციელება გამჭირვალობისა და ჩართულობის პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით.

„ჩვენმა ორგანიზაციამ ამ პროექტის განხორციელებით მიიღო დიდი გამოცდილება მუნიციპალიტეტის გამჭვირვალობის მონიტორინგის განხორციელებაში. ამ ხნის მანძილზე ჩვენ გავხდით უფრო ანგარიშგასანევი ძალა, ვიდრე აქამდე ვიყავით.

გამეთში „კახეთის ხმა“, გაკეთებულმა სტატიამ პროექტის შედეგების შესახებ, დიდი ინტერესი გამოიწვია სხვა მუნიციპალიტეტებშიც. დაგვიკავშირდნენ გურჯაანის თვითმმართველობიდან და გვთხოვეს იქაც გავგვეხორციელებინა მონიტორინგი.

მიგვაჩნია, რომ თვითმმართველობის მონიტორინგი გახდება ჩვენი ერთ-ერთი სტრატეგიული მიმართულება. წლის ბოლოს, როდესაც გადავხედავთ ორგანიზაციის სტრატეგიული განვითარების გეგმას, აუცილებლად დავამატებთ ამ კომპონენტს.

მაია ბიძინაშვილი, „სათემო ორგანიზაცია ნუკრიანის“ დირექტორი

აღსანიშნავია, რომ პროექტი ბევრ მათგანს დაეხმარა სხვადასხვა სპეციფიური ორგანიზაციული განვითარების გამოწვევების დაძლევაში, გადასცა ახალი ცოდნა და გამოცდილება. სამმა ორგანიზაციამ („სტეფანწმინდა“, ასოციაცია „ბილივი“ და „მმართველობითი სისტემების განვითარების ცენტრი“) პროექტის თანადაფინანსებით შექმნა საკუთარი ვებგვერდი.

აღვოკატირების კამპანია გორში

კამპანია, რომლის მიზანი იყო ე. გორის მუნიციპალიტეტში მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობა, ასოციაცია „ბილივის“ მიერ განხორციელდა. განისაზღვრა ადვოკატირების ორი ამოცანა: ე. გორის მუნიციპალიტეტში მოქალაქეთა ჩართულობის გაუმჯობესების მიზნით სპეციალური პროგრამის

შემუშავება და ქ. გორის მუნიციპალიტეტის ვებგვერდის განვითარება. კამპანიის ფარგლებში, გამოიცა და მოსახლეობაში გავრცელდა საინფორმაციო ბუკლეტები („რა უნდა ვიცოდეთ ქ. გორის, როგორც თვითმმართველი ქალაქის, მერის და მერიის შესახებ“, „მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმები ადგილობრივ თვითმმართველობაში“), გაიმართა საინფორმაციო-საკონსულტაციო ტიპის შეხვედრები მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან. შედეგად, ქ. გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 1 ივლისის #124 განკარგულებით, დამტკიცდა პროგრამა ქ. გორის მუნიციპალიტეტის საქმიანობაში, მოქალაქეთა ჩართულობის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების შესახებ. ამას გარდა, ასოციაციის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების საფუძველზე, მუნიციპალიტეტმა დაიწყო საკუთარი ვებგვერდის გაუმჯობესება.

ადვოკატირების კამპანია რუსთავში

ორგანიზაცია „სიღამ“ დაგეგმა და განახორციელა ადვოკატირების კამპანია ქალაქ რუსთავში და გარდაბნის მუნიციპალიტეტში, რომელიც „რჩეულის“ ინსტიტუტის გაძლიერებას ისახავდა მიზნად. ადგილობრივი მედიის, სიღას ვებგვერდისა და ფეისბუქის გვერდის საშუალებით ადგილობრივ მოსახლეობას კამპანიის მთავარი მესიჯების გაუზიარეს. დაინტერესებულ მხარეებთან ერთად ჩამოყალიბდა ადვოკატირების სამოქმედო გეგმა და განხორციელდა შეხვედრები ადგილობრივ თვითმმართველობასთან. მემორანდუმის ფარგლებში თვითმმართველობისგან მიღებული იქნა თანხმობა საკითხის გადაჭრის შესახებ, რის საფუძველზეც ხორციელდება შემდგომი ნაბიჯების მონიტორინგი „სიღას“ და საკითხით დაინტერესებული მხარეების მიერ.

ადვოკატირების კამპანია ქალაქ თელავში

ქალაქ თელავში, რეგიონული განვითარების ცენტრის (RDC) მიერ წარმოებული კამპანია მოსახლეობის ინტერესებზე მორგებული მუნიციპალური ვებგვერდის განვითარებას ისახავდა მიზნად - უფრო მეტი ინფორმაცია მონაწილეობის ფორმების და მუნიციპალური სერვისების შესახებ.

კამპანიის მსვლელობისას ჩატარდა შეხვედრები აქტიურ მოქალაქეებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სტუდენტებთან, ადგილობრივ მედიასთან. გამოიკვეთა საზოგადოების მოლოდინები. ბოლო ეტაპზე მომზადდა სიმბოლური პეტიციის ტექსტი, შეგროვდა ხელმოწერები და წარედგინა მუნიციპალიტეტს.

შედეგად, ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტმა რეალურად დაიწყო ვებგვერდის გაუმჯობესებაზე მუშაობა. შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნულმა კამპანიამ თავისი წვლილი შეიტანა საკითხის აქტუალიზაციაში და ვებგვერდის კონცეფციის გადახედვაში.

ადვოკატირების კამპანია სიღნაღის მუნიციპალიტეტში:

სათემო ორგანიზაცია „ნუკრიანის“ ადვოკატირების მიზანი იყო საზოგადოებაში მონაწილეობის ფორმების შესახებ ინფორმაციის გავრცელება და CTC-ის მიერ შემუშავებული მუნიციპალური გამჭვირვალობისა და მოქალაქეთა ჩართულობის სტანდარტის დანერგვა სიღნაღის მუნიციპალიტეტში.

ამ მიზნით, ორგანიზაციამ 10-დე საინფორმაციო შეხვედრა გამართა სიღნაღის სოფლებში. ხოლო სოფელ ილინმინდაში, სადაც 500 ამომრჩეველია, ხელი შეუწყო სოფლის საერთო კრების მოწვევას, რაც მნიშვნელოვანი პრეცედენტი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით განსაზღვრული მოქალაქეთა მონაწილეობის ამ ახალი ფორმის დამკვიდრებისთვის. ამ მიზნით, ორგანიზაციამ გადაამზადა სოფლის კრების საინიციატივო ჯგუფი, მუნიციპალიტეტის გამგეობასთან ერთად შეიმუშავა კრების მოწვევის პროცედურისთვის საჭირო დოკუმენტების თარგები (განცხადების ფორმა, ხელმოწერების ფურცელი, ოქმის ფორმა, თანხმობის წერილი და სხვა).

„მმართველობითი სისტემების განვითარების ცენტრთან“ თანამშრომლობით მომზადდა და სიღნაღის მუნიციპალიტეტს დასამტკიცებლად წარედგინა სამართლებრივი აქტის პროექტი, სადაც ასახულია მუნიციპალური გამჭვირვალობისა და მოქალაქეთა ჩართულობის სტანდარტით გათვალისწინებული მთელი რიგი მოთხოვნები. გაიმართა კონსულტაციები სიღნაღის მუნიციპალიტეტის შესაბამის პასუხისმგებელ პირებთან, რასაც საბოლოოდ მოჰყვა აქტის მიღება.

აღსანიშნავია, რომ პროექტის მიმდინარეობას პერიოდულად აშუქებდა რეგიონული მედია საშუალება „კახეთის ხმა“ და მუნიციპალური გაზეთი „სიღნაღი“.

ადვოკატირების კამპანია ყაზბეგის მუნიციპალიტეტში:

ასოციაცია „სტეფანწმინდის“ კამპანიის საგანი იყო მოსახლეობის ინფორმირება ყაზბეგის მუნიციპალიტეტში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმების და მუნიციპალიტეტის საქმიანობის შესახებ. გაიმართა საინფორმაციო შეხვედრები მუნიციპალიტეტის 4 სოფლის მოსახლეობასთან. დაიბეჭდა და მოსახლეობაში გავრცელდა გაზეთ „სტეფანწმინდას“ 3 ნომერი; შემუშავდა და მუნიციპალიტეტს წარედგინა რეკომენდაციები ვებგვერდის და გამგებელთან არსებული მრჩეველთა საბჭოს შექმნის თაობაზე; დაიბეჭდა და მოსახლეობას დაურთოდა საინფორმაციო ბუკლეტები თვითმმართველობაში მონაწილეობის ფორმებისა და ტექნიკების შესახებ. პროექტის შესახებ ინფორმაციის გავრცელების ერთ-ერთ ძირითად წყაროს წარმოადგენდა პროექტის ფარგლებში შექმნილი ვებგვერდი www.stepantsminda.org.ge

რეგიონული განვითარების
სახელმწიფო პროგრამებში
მოქალაქეთა მონაწილეობის
ეფექტური მექანიზმების
განვითარების აღვოკატირება



საქართველოში, რეგიონული თუ მუნიციპალური განვითარების სფეროში სახელმწიფო პროგრამებს დომინანტური ადგილი უჭირავს მუნიციპალურ პროგრამებთან შედარებით. მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტები მუნიციპალიტეტებში სწორედ მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამების მეშვეობით ხორციელდება. როგორც წესი, პროგრამის შინაარსს, პროექტების შერჩევას, დაფინანსების, განხორციელებისა და ანგარიშგების პროცედურებს ცენტრალური ხელისუფლება ადგენს. მუნიციპალიტეტისთვის პროგრამაში მონაწილეობის პირობა დადგენილი პროცედურების დაცვაა. აქედან გამომდინარე, აღნიშნული პროგრამები, სახელმწიფოს ხელში წარმოადგენენ მნიშვნელოვან ბერკეტს ადგილობრივ თვითმმართველობებში, სხვადასხვა მიმართულებებით (პროექტების მართვა, მოქალაქეთა ჩართულობა და ა.შ.) დადებითი პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობისთვის. თავის მხრივ, ეს ნიშნავს ხარისხიან პროექტებს, რესურსების ეფექტურ გამოყენებას, კორუფციის რისკების შემცირებას და ა.შ.

შესაბამისად, პროექტის ფარგლებში დაიგეგმა და განხორციელდა კვლევა „მოქალაქეთა მონაწილეობის სტიმულირება თვითმმართველობის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამებში“. კვლევის მიზანს წარმოადგენდა აღნიშნულ პროგრამებში მოქალაქეთა მონაწილეობის შეფასება საერთაშორისო სტანდარტების (LAP, OECD) გამოყენებით და გაუმჯობესებისთვის რეკომენდაციების შემუშავება. შესწავლილი იქნა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა, სამთავრობო სტრატეგიები და პროგრამები, აგრეთვე, რეგიონული განვითარების სახელმწიფო პროგრამების დაფინანსების სამი ძირითადი ინსტრუმენტი:

1. სოფლის მხარდაჭერის პროგრამა;
2. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი;
3. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.

სამივე ინსტრუმენტი მიმართულია რეგიონებში სხვადასხვა ზომისა და სირთულის პრობლემების გადასაწყვეტად. მათი ჯამური დაფინანსება 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში იყო 385 მილიონი ლარი, რაც მთელი ბიუჯეტის 4,84%-ს შეადგენდა.

კვლევის ძირითადი დასკვნები

- კვლევამ აჩვენა, რომ მოქალაქეთა ჩართულობა, როგორც წესი, უზრუნველყოფილია საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებულ რეგიონული განვითარების პროექტების დაგეგმვისას, ამ ორგანიზაციების სავალდებულო მოთხოვნებიდან გამომდინარე. გადანაცვებილების მიღების პროცესში მონაწილეობის ყველაზე

დიდ პრობლემა მოქალაქეთა პასიურობაა, რაც განპირობებულია ჩართულობის ინსტრუმენტების დაბალი ხელმისაწვდომობით, დაბალი ინფორმირებულობით და მენტალური სტერეოტიპებით. ამასთან, რაც უფრო მასშტაბურია პროექტი, მით უფრო დაბალია მონაწილეობის ხარისხი;

- ასევე გამოვლინდა, რომ მოქალაქეთა ჩართულობა საერთოდ იგნორირებულია პროექტების განხორციელებისა და შედეგების შეფასების ეტაპებზე;
- კვლევამ აჩვენა კაპიტალური პროექტების მართვის ბევრი სხვა სისუსტე, განსაკუთრებით კი - გაუმართლებლად რთული პროცედურები.
- კვლევის ერთ-ერთი მიგნებაა, რომ რეგიონული განვითარების სახელმწიფო პროექტების დაგეგმვისას (გარდა საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული პროექტებისა), პრაქტიკულად არ, ან არასრულყოფილად გამოიყენება პროგრამული ბიუჯეტის დაგეგმვის პრინციპები (მიზნები, ამოცანები, რისკები, ინდიკატორები, შეფასების სისტემები);
- აღსანიშნავია, რომ ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაში ადგილობრივი მოსახლეობისა და ბიზნესის უშუალო თანამონაწილეობა ნაკლებად არის წახალისებული სახელმწიფოს მხრიდან. შესაბამისად, რეგიონული ინფრასტრუქტურული პროექტები ვერ ახდენს პირდაპირ ზეგავლენას ისეთ ფაქტორებზე, როგორცაა რეგიონებში ბიზნესის განვითარება და უმუშევრობის დაძლევა;
- კვლევის შედეგების შეჯამებით შეიძლება დავასკვნათ, რომ რეგიონებში გადანაცვტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა თანამონაწილეობის დონე შეესაბამება შერი პ. არნშტეინის (მოქალაქეთა მონაწილეობის კიბე) შეფასების ინსტრუმენტის მეექვსე დონეს - „გულის მოგება“, რაც გულისხმობს, რომ მოქალაქეები მოვლენათა მსვლელობაზე გარკვეულ გავლენის ახდენენ, თუმცა მონაწილეობის სიმბოლური ხასიათი ამკარაა და საბოლოო გადანაცვტილების უფლება ხელისუფლებას რჩება;
- კვლევა პოლიტიკის რიგ რეკომენდაციებსაც აყალიბებს. მიზანშეწონილია, რეგიონული განვითარების პროგრამის ფარგლებში შეიქმნას გადანაცვტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა თანამონაწილეობის ხელშეწყობის სამთავრობო პროგრამა, სადაც განერილი იქნება, თუ რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას მოსახლეობის პასიურობის დასაძლევადა და მონაწილეობის მექანიზმების ამოქმედებისთვის. ასევე, რეგიონული/ადგილობრივი მნიშვნელობის პროექტების/

პროგრამების განხორციელებისას აუცილებელია, გადანყვეტილების მიღების პროცედურების ოპტიმიზაცია. გამორიცხული უნდა იყოს ზედმეტად ბიუროკრატიული საფეხურები; კრიტიკულად მნიშვნელოვანია, საქართველოს მთავრობამ შეიმუშაოს პროექტების/პროგრამების შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების პროცედურების ამსახველი ჩარჩო-მეთოდოლოგია, სადაც მკაფიოდ გამოჩნდება მონაწილეობის ეტაპები და ფორმები.

● მუნიციპალიტეტში ხარისხის მართვის სისტემის დანერგვის მოქალაქის შერევა ISO 9001:2015 საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით

პროექტის ერთ-ერთი მიმართულებას წარმოადგენდა ხარისხის მართვის სისტემის საერთაშორისო სტანდარტის ISO 9001:2015 მოთხოვნების შესაბამისად თვითმმართველ ორგანოში ხარისხის მართვის სისტემის პროცედურების შემუშავება, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის მართვის სფეროში საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას და ზოგადად, მართვის ეფექტურობას.

საერთაშორისო პრაქტიკით, საჯარო სექტორში გამოიყენება რამდენიმე ფართოდ აღიარებული მართვის სისტემა: ISO ოჯახში შემავალი სტანდარტები (მაგალითად 9001:2015, 10002:2007, IWA4-2005), Excellence Framework for Quality Management (EFQM), Common Assessment Framework (CAF). აღნიშნული საერთაშორისო სტანდარტები ეყრდნობა პროცესზე და რისკების შეფასებაზე დაფუძნებულ მიდგომას და აერთიანებს PDCA (დაგეგმე-გააკეთე-შეამოწმე-იმოქმედე) ციკლს. პროექტმა არჩევანი ISO 9001-2015-ზე გააკეთა.

პარტნიორებად შერჩეული იქნა გორის და ყაზბეგის მუნიციპალიტეტები, სადაც ბიზნეს პროცესების მართვის (BPM) მეთოდოლოგიის გამოყენებით, მუნიციპალიტეტის თანამშრომლებთან ერთად მოხდა 7 სხვადასხვა სამუშაო პროცედურის შესწავლა, შეფასება და ოპტიმიზაცია. ესენია:

- დოკუმენტების და ჩანაწერების კონტროლის პროცედურა;
- ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების პროცედურა;
- საჯარო ინფორმაციის გაცემის პროცედურა;
- მერიის ვებ გვერდისა და ფეისბუქ გვერდის მართვის პროცედურა;
- საჯარო შეხვედრის გამართვის პროცედურა;
- მერიის თვითშეფასების პროცედურა;
- მუნიციპალიტეტის წლიური ბიუჯეტის დაგეგმვის პროცედურა.

ასევე შემუშავდა საქმიანობის ეფექტურობის შეფასების კრიტერიუმები და მათი დანერგვის მეთოდოლოგია.

რა თქმა უნდა, სისტემის სრულყოფილი დანერგვა მუნიციპალიტეტის მხრიდან თანმიმდევრულ მუშაობას და ძალისხმევას მოითხოვს. თუმცა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ პროცესის შედეგად, ორივე მუნიციპალიტეტში გაიზარდა ინფორმირებისა და მზაობის დონე, განახორციელონ ხარისხის მართვის სისტემის დანერგვა, რაც მომავალში აღიარების საერთაშორისო სერტიფიკატის მოპოვების კარგი წინაპირობა იქნება.

პროექტის ძირითადი მიღწევები



- პროექტის ფარგლებში შეიქმნა მუნიციპალური გამჭვირვალობისა და მოქალაქეთა ჩართულობის შეფასების ქმედითი ინსტრუმენტი, რომელიც ეფუძნება და აერთიანებს საქართველოს კანონმდებლობით, საერთაშორისო და ადგილობრივი კარგი პრაქტიკით, „პარტნიორობა ღია მმართველობისთვის“ (OGP) ინიციატივით დადგენილ საჯარო დანებს ეფუძნება გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მიღებულ სტანდარტებს. აღნიშნული სტანდარტების დანერგვა საქართველოს მუნიციპალიტეტებში პირდაპირ უწყობს ხელს OGP-ს რიგით მესამე, 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმაში მუნიციპალიტეტებისათვის განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებას. კერძოდ, „საჯარო ფინანსების ზედამხედველობის (საჯარო აუდიტის) პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდა, ელექტრონული ინოვაციები საჯარო შესყიდვების მეტი გამჭვირვალობისა და ეფექტიანობისთვის“;
- აღნიშნული სტანდარტების დანერგვის შედეგად, სამიზნე მუნიციპალიტეტებში გამჭვირვალობისა და მოქალაქეთა ჩართულობის საერთო მაჩვენებელი 73%-ით გაიზარდა (0.68-დან 1.17 ქულამდე), რაც პროექტის ვადებისა და მისი პილოტური ხასიათის გათვალისწინებით საკმაოდ კარგი მაჩვენებელია. ამასთან, სიღნაღისა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტებში შეიქმნა სტანდარტით გათვალისწინებული მთელი რიგი მოთხოვნების დანერგვის სამართლებრივი საფუძვლები, რაც კარგი წინაპირობაა ამ მიმართულებით შემდგომი პროგრესის მიღწევისთვის;
- მუნიციპალური გამჭვირვალობისა და მოქალაქეთა ჩართულობის შეფასების სტანდარტისა და მეთოდოლოგიის შემდგომი განვითარების, ასევე, საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტის აღნიშნული სისტემით პერიოდული შეფასების მიზნით, დაფუძნდა არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიცია, სადაც ფონდი ღია საზოგადოება - საქართველოს ხელშეწყობით, გაერთიანდნენ ტრენინგებისა და კონსულტაციის ცენტრი (CTC), ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) და მართველობითი სისტემების განვითარების ცენტრი (MSDC). საქართველოს მუნიციპალიტეტების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ხარისხის კომპლექსური შეფასება 2017 წლიდან იგეგმება;
- პროექტის მიმდინარე აქტივობებმა გამოავლინა მუნიციპალური ვებრესურსების შეუსაბამობა ადგილობრივი თვითმმართველობის ახალი კოდექსით დადგენილი საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების მოთხოვნებთან, მოქალაქეთა საჭიროებებთან და ზოგადად, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან. გაირკვა, რომ მუნიციპალიტეტების უმრავლესობას არ გააჩნია თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ვებგვერდის განვითარების რესურსი. შესაბამისად, პროექტმა დაიწყო ადვოკატირების პროცესი თანამედროვე

ვებგვერდის მოდელის შესაქმნელად, რომელსაც საბაზისოდ გამოიყენებდა ყველა დაინტერესებული მუნიციპალიტეტი. ფონდი ღია საზოგადოება - საქართველოს ფინანსური მხარდაჭერით, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა შექმნა მუნიციპალური ვებგვერდის ასეთი მოდელი, რომელიც უკვე დაინერგა კახეთის ცხრავე მუნიციპალიტეტში და ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, რომელსაც დღემდე ვებგვერდი არ გააჩნდა.

- გაიზარდა რეგიონული ორგანიზაციების შესაძლებლობები მუნიციპალური გამჭვირვალობისა და მოქალაქეთა ჩართულობის ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების სფეროში;
- რეგიონული განვითარების სახელმწიფო პროგრამების კომპლექსური კვლევისა და ანალიზის საფუძველზე შემუშავდა რეკომენდაციათა პაკეტი შესაბამის სფეროში პოლიტიკისა და კანონმდებლობის ცვლილებებთან დაკავშირებით, რაც უფრო ეფექტურს გახდის აღნიშნულ პროგრამებს, გაზრდის მათ მიზნობრიობას, ხარჯთეფექტურობას, სინერგიას, კოორდინაციას, მოქალაქეთა ჩართულობას და, რაც ასე მნიშვნელოვანია, მუნიციპალიტეტების დამოუკიდებლობას ადგილობრივი მნიშვნელობის პროექტებთან დაკავშირებული გადანაცვტილებების მიღებაში;
- ქალაქ გორისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებისთვის, ბიზნეს პროცესების მართვის (BPM) მეთოდოლოგიის გამოყენებით აღინერა 7 სხვადასხვა ადმინისტრაციული ტიპის პროცედურა, შემუშავდა საქმიანობის ეფექტურობის შეფასების კრიტერიუმები და მათი დანერგვის მეთოდოლოგია, გაიზარდა მუნიციპალიტეტების კვალიფიკაცია და მზაობა ეფექტურად განახორციელონ ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტების (ISO 9001-2015) შესაბამისი სისტემის დანერგვა და მოიპოვონ აღიარების საერთაშორისო სერტიფიკატი.

ABOUT THE PROJECT



CTC team launched a project – Local Democracy Development in 2015 based on the new code of self-governance, standards established on the initiative of Open Government Partnership (OGP), and generally, principles of Good Governance. The project aims to support the increase of accountability, transparency and public involvement in municipalities.

The project is based on 4 basic approaches:

- Create/implement the municipal transparency and citizen participation assessment tool and support municipal capacity building in Georgia
- Involve local public organizations in the introduction of assessment practices and advocate the development of citizen participation mechanisms and practices
- Develop a model for introduction of quality management system in a municipality according to ISO 9001:2015 International Standard
- Advocate the development of effective mechanism for citizen participation in government's regional development programs.

Eight self-governing units have been selected to implement the project, of which there are three self-governing cities (Rustavi, Gori, and Telavi) and five community municipalities: Lagodekhi, Signaghi, Kazbegi, Marneuli and Gardabani. The selection criteria were different sizes of municipalities (area, population), type (urban, communal), geography (mountains, plain) and readiness to participate in the project.

ASSESSMENT OF MUNICIPAL TRANSPARENCY AND CITIZEN PARTICIPATION



● ABOUT THE ASSESSMENT TOOL

